ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 1

1986

41

უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (484) იანვარი 1986 წელი

განყოფილება პირველი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. დ. რუხაძის საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ახმეტის რაიონის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. დ. ქინქლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. შ. ვასაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. გვეტაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ვ. გორგოძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.
7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გაუქმების შესახებ.

№1 ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის და აგრეთვე საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარებისათვის ბოგდანოვკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ.
9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების შედეგების შესახებ.
10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქარელის რაიონის სოფელ რუისში გამართული სოფლის ყრილობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 7 იანვრის დადგენილების შესაბამისად წულუკიძის რაიონში სოფლის ყრილობების ჩატარების შედეგების თაობაზე.

განყოფილება მეორე

11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. ქველაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ს. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ჰ. კოჩოიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
16. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. თავზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ი. კახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. მ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. თითიერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ფ. შიმშილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ი. ღაეითაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. გოგნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ს. ეზიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ა. ბოკუჩავასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. მ. ჯემუხაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ნ. ციკოლიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. არუთინიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვ. ბიბ. ბ. მარგველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ე. მეტრეველისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

1 ამხ. ნ. დ. რუხაძის საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნუგზარ დომენტის ძე **რუხაძე** საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 6 იანვარი.
№ 565—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

2 ახმეტის რაიონის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ახმეტის რაიონის ახმეტის № 228 საარჩევნო ოლქში კვირას, 1986 წლის 9 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 8 იანვარი.
№ 562—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

3 ამხ. ო. დ. ჭინჭლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ოთარ დანიელის ძე ჭინჭლაძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 9 იანვარი.
№ 566—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

4 ამხ. ნ. შ. ვასაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნათელა შალვას ასული ვასაძე საქართველოს სსრ განათლების **მინისტრად.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 იანვარი.
№ 569—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

5 ამხ. გ. ი. გვეტაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გურამ ივანეს ძე გვეტაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის **თანამდებობიდან** პენსიაზე **გასვლასთან** დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 22 იანვარი.
№ 576—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

6 ამხ. შ. ვ. გორგოძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შოთა ვარლამის ძე **გორგოძე** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭ**ოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშჭარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 22 იანვარი.

№ 577—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

7 საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშჭარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 27 იანვარი.

№ 586—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

8 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის და აგრეთვე საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარებისათვის ბოგდანოვკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის და აგრეთვე საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარებისათვის ბოგდანოვკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით სათანადო მუშაობას ეწევა სახალხო ხელისუფლების ორგანოების ორგანიზატორული, საკონტროლო და საკოორდინაციო ფუნქციების გაძლიერების, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის მისაღებად მშრომელთა უფრო ფართოდ მიზიდვისათვის.

ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი იღვწის თავისი საქმიანობის შინაარსისა და სტილის სრულყოფის, კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების უფრო სრულად რეალიზაციისათვის, მუშაობას წარმართავს საკითხების კოლექტიური, საქმიანი განხილვისა და გადაწყვეტის, საჯაროობის, საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე აღმასკომისა და მისი ქვეგანაყოფების რეგულარული ანგარიშგების, ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რაიონის მშრომელთა აქტიური მიზიდვის საფუძველზე.

ამასთან ერთად ბოგდანოვკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ხარვეზები და ნაკლოვანებები გააჩნიათ მუშაობის დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის შემოქმედებითი პოტენციალის უკეთ გამოყენების საქმეში.

ყველა საბჭო ვერ უზრუნველყოფს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობას, ეკონომიკური საქმიანობის სათანადო დონეს და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ჯეროვან ეფექტიანობას. ზოგიერთი სასოფლო საბჭო და მისი აღმასკომი არასაკმარის მომთხოვნელობას იჩენენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული მეურნეობებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მიმართ, იშვიათად ისმენენ მათ ანგარიშებს, ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ, სათანადოდ არ ზრუნავენ მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის საკმარისი არ არის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საკონტროლო საქმიანობის დონე. ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატები ძალზე იშვიათად იყენებენ დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების უფლებას.

სუსტად ხორციელდება კონტროლი კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების, მიწათსარგებლობის წესების დაცვისადმი. ბევრი ნაკლოვანებაა საზოგადოებრივი წესრიგის, სამართალდარღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად საქმიანობაში. არადამაკმაყოფილებელია აღმასკომების მუშაობა გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლისათვის; კვლავ საკმარისი ყურადღებით არ ეკიდებიან სესიებზე, შრომითი კოლექტივების კრებებსა და სოფლის ყრილობებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციას.

რაიონის საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობას, იშვიათად ტარდება სემინარ-თათბირები მათი ხელმძღვანელებისათვის, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების წევრებისათვის, მუშაობაში არასაკმარისად იზიდავენ შტატგარეშე აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მთელი თავისი მუშაობა წარმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის და აგრეთვე საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილების მოთხოვნათა უცილობლივ შესასრულებლად; მიიღოს ქმედითი ზომები ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

2. ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს, რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— ორგანიზაციულ-მასობრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საქმიანობა დაუქვემდებარონ მშრომელთა დარაზმვას სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და მომდევნო პლენუმებით დასახული პარტიის სტრატეგიული ხაზის განსახორციელებლად, რომელმაც ასახვა პოვა პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებში და რომელიც გამიზნულია სოციალისტური თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისა და სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, ხალხის კეთილდღეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაღლების, სოციალისტური კანონიერების, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამ მიზნით:

— მიიჩნიონ დიდმნიშვნელოვან ამოცანად საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაღრმავება-განვითარება და სრულყოფა, საბჭოების მიერ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებამოსილების სრული და ეფექტიანი რეალიზაციის, სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში სულ უფრო მეტ მოქალაქეთა ყოველდღიური მონაწილეობისათვის ყველაზე კეთილსასურველი პირობების შექმნა; უზრუნველყონ საბჭოების საქმიანობაში კანონმდებლობის, მართვისა და კონტროლის შეხამების შესახებ ლენინური მოთხოვნის განუხრელი შესრულება;

— მუდმივად სრულყონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა — დემოკრატიის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება; აღმოფხვრან მასში დამკვიდრებული შაბლონი, ფორმალიზმი და საქმის გაუბრალოება;

— გააუმჯობესონ სასესიო საქმიანობის პრაქტიკა, უფრო სრულად გამოიყენონ სესიების — მნიშვნელოვანი დემოკრატიული ინსტრუმენტის, შესაძლებლობანი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში, საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში, საბჭოთა კადრების პასუხისმგებლობის და ინიციატივის ამაღლებასა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში;

— უზრუნველყონ საჯაროობა სესიების, მუდმივი კომისიების, აღმასკომების სხდომების მომზადებისას, უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში გამსვლელი სხდომების ჩატარება; განუხრელად დაიცვან კანონის მოთხოვნები ამომრჩევლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წინაშე დეპუტატთა ანგარიშგების შესახებ, სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია მოსახლეობას საბჭოების, აღმასკომების გადაწყვეტილებათა თაობაზე, განაწესების შესრულების მიმდინარეობის, პარტიული და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების დიდმნიშვნელოვანი დადგენილებების შესახებ; სრულყონ ამომრჩევლებთან დეპუტატთა შეხვედრების ერთიანი დღეების, „დეპუტატთა დღეების“, „ინფორმაციათა დღეების“ ჩატარების და სესიებზე და მოსახლეობის წინაშე საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა ანგარიშგების, შრომითს კოლექტივებთან ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკების შეხვედრების პრაქტიკა; აქტიურად გამოეხმაურონ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებს, წინადადებებსა და საჩივრებს, უფრო ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი პრესისა და რადიოს საშუალებანი მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდისათვის;

— მუდმივად სრულყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოქალაქეთა მიზიდვის ყველა ფორმა და საშუალება; ორგანიზაცია გაუწიონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებების, სოფლის ყრილობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის რეგულარულ მოწვევას, გააკონტროლონ მათი მომზადებისა და ჩატარების დემოკრატიული პრინციპის დაცვა, ამასთან უზრუნველყონ დიდმნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავება-განხილვაში, მიღებასა და განხორციელებაში მასების სულ უფრო ფართოდ ჩაბმა;

— მიზანმიმართულად უხელმძღვანელონ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებს და უზრუნველყონ მათი როლის ამაღლება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი მასობრივი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში; მუდმივად განავითარონ მოქალაქეთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტიურობა, აღზარდონ მათში მაღალი მოქალაქეობრიობა, სოციალისტური თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის ჩვევები;

— შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის შესაბამისად უფრო აქტიურად ურთიერთიმოქმედონ რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომითს კოლექტივებთან, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; ხელი შეუწყონ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, მისი საჯაროობის ამაღლებას, მოწინავე გამოცდილების, შრომითი თაოსნობებისა და სახალხო ინიციატივების ფართოდ გავრცელებას; უზრუნველყონ XII ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებით განხორციელება და სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.
№ 594—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

9 საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ 1985 წლის 23-30 დეკემბერს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირა ძირითადად მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა.

დეპუტატების უმრავლესობამ თავის ანგარიშებში ამომრჩევლების ყურადღება გაამახვილა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების მთავარ ასპექტებზე, უდიდესი პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობის წინასაყრილობო დოკუმენტებიდან — სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, ცვლილებებითურთ პარტიის წესდების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებიდან — გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანებზე.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრებმა ამომრჩევლებთან ცხადყვეს, რომ საქართველოს მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას; „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებასა და ამასწინანდელ განცხადებაში ჩამოყალიბებულ მშვიდობის პროგრამას და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ კვლავაც ყველაფერს იღონებენ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

აღსანიშნავია, რომ დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრისადმი მიძღვნილი კრებების უმრავლესობას ახასიათებდა ამომრჩეველთა აქტიურობა, საერთო-სახალხო საქმით დაინტერესება, გადასაწყვეტ ამოცანათა მიმართ შემოქმედებითი მიდგომა, დეპუტატთა კომპეტენტურობა.

ამომრჩევლებს შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 403 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რიცხვის 91,6 პროცენტი. შეხვედრებს ესწრებოდა 120 ათასამდე ამომრჩეველი, სიტყვით გამოვიდა 2.300-მდე კაცი.

გამოითქვა 700-მდე წინადადება, რომელთა ნაწილი ადგილობრივმა საბჭოებმა მიიღეს შესასრულებლად, ნაწილი კი უშუალოდ დეპუტატებმა გაუგზავნეს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს და დააწესეს კონტროლი მათი რეალიზაციის მიმდინარეობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზაციის საკითხებს, რის გამოც დაბალი იყო ამომრჩეველთა დასწრება და აქტივობა. ყურადღებას მოითხოვს შემოსული წინადადებების და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვისა და მათზე რეაგირების მოწესრიგების საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის დროს ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის მდგომარეობას და შედეგების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცნობონ დეპუტატებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1986 წლის 1 ივნისამდე;

— ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სახალხო დეპუტატების და მშრომელთა მიერ წამოწყებულ თაოსნობებს, რომლებიც მიმართულია წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვის, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენების, დისციპლინის განმტკიცებისა და სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" კანონის შესაბამისად დროულად განიხილონ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიმართვებში დაყენებული წინადადებები, მიიღონ საჭირო ზომები მათი რეალიზაციისათვის და დროულად აცნობონ პასუხი დეპუტატებს.

3. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.
№ 395—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

10 ქარელის რაიონის სოფელ რუისში გამართული სოფლის ყრილობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 7 იანვრის დადგენილების შესაბამისად წულუკიძის რაიონში სოფლის ყრილობების ჩატარების შედეგების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ჯ. გ. კალანდაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქარელის რაიონის სოფელ რუისში გამართული სოფლის ყრილობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 7 იანვრის დადგენილების შესაბამისად წულუკიძის რაიონის ყველა სოფელში ჩატარდა სოფლის ყრილობა და რომ მათზე მოსახლეობის მიერ გამოთქმულ მრავალ მნიშვნელოვან წინადადებასა და კრიტიკულ შენიშვნას აღმასკომი განიხილავს და მიიღებს საჭირო ზომებს მათს შესასრულებლად, რის შესახებაც ეცნობება მოსახლეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად:

— უზრუნველყონ ყველა დაბასა და სოფელში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოფლის ყრილობებისა და მოქალაქეთა საერთო კრებების ჩატარება, რომლებზეც პრინციპული კონკრეტული სჯა-ბაასი გამართონ კერძომესაკუთრულ გამოვლენათა აღკვეთის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, ყველგან და ყველაფერში ჯეროვანი წესრიგის დამყარების შესახებ;

— ყრილობებისა და კრებების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, დეპუტატები, წარმოების მოწინავენი, ინტელიგენცია, ომისა და შრომის ვეტერანები;

— შექმნან ყრილობებსა და კრებებზე საყოველთაო გაკიცხვისა და მოუთმენლობის ვითარება არაშრომითი შემოსავლით მცხოვრებ, სოციალისტური მორალის ნორმების დამრღვევ კონკრეტულ პირთა, მუქთახორებისა და ლოთების მიმართ;

— ხელი შეუწყონ ყრილობებსა და კრებებზე კონკრეტული წინადადებების შემუშავებას ყველგან კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებისათვის, ჯანსაღი მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის მოძრაობაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ;

— გულდასმით გააანალიზონ ყრილობებსა და კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, მიიღონ ზომები მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

პირველი ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადებების შესახებ მიაწოდონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1986 წლის 5 აპრილამდე.

3. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა შემდგომში ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში სოფლის ყრილობებისა და მოქალაქეთა საერთო კრებების ჩატარება როგორც ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისაგან გადახრების წინააღმდეგ საზოგადოებრიობის ბრძოლის გააქტიურების მნიშვნელოვანი ფორმა.

4. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.

№ 596—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

11 ამხ. გ. ვ. ქველაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მილიციის უფროსი ლეიტენანტი გოდერძი ვიქტორის ძე ქველაძე დაჯილდოვდეს მედლით „**წყალწაღებულთა გადარჩენისათვის**“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 28 იანვარი.

№ 589—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

12 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „**ხანძარზე მამაცობისათვის**“ დაჯილდოვდნენ:

კოვალიოვი ანატოლი ვასილის ძე — **სამხედრო ნაწილის სახანძრო რაზმის უფროსი.**

ტარშინი იური ბორისის ძე — **სამხედრო ნაწილის სახანძრო რაზმის სახანძრო ავტომობილის მძღოლი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 28 იანვარი.

№ 588—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

13 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

გუბიანური სარდიონ მიხეილის ძე — რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული (სიკვდილის შემდეგ).

ჯიოევი იური ვალიკოს ძე — რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მილიციელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 28 იანვარი.
№ 590—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

14 ამხ. თ. ზ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. თამაზ ზაქარიას ძე **კიკნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 იანვარი.
№ 556—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

15 ამხ. ვ. ჰ. კოჩოიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით **საქართველოს კომპარ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვასილ ჰაიკის ძე **კოჩოიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 7 იანვარი.
№ 560—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

16 ამხ. ვ. გ. თავზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალენტინ გრიგოლის ძე **თავზარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

18343

თბილისი, 1986 წლის 8 იანვარი.
№ 563—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

17 ამხ. ჯ. ი. კახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჯანსუღ ივანეს ძე **კახიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 8 იანვარი.
№ 564—XI

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. ბიბლ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

18 ამხ. რ. მ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის ტრანსპორტის, ვაჭრობისა და ფინანსების განყოფილების გამგე ამხ. რენარი მიხეილის ძე **გიორგაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 16 იანვარი.
№ 570—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

19 ამხ. მ. მ. თითირაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. მარიამ მიხეილის ასული **თითირაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 16 იანვარი.
№ 571—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

20 ამხ. რ. ფ. შიმშილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო **კავშირგაბმულობის სამმართველოს უფ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსი ამხ. რუბენ ფილხასის ძე **შიმშილაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 16 იანვარი.
№ 573—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

21 ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში წვლილისათვის და დაარსების 90 წლისთავთან დაკავშირებით **ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 17 იანვარი.
№ 574—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

22 გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში წვლილისათვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 23 იანვარი.
№ 579—XI

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

23 გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ავალიანი გიორგი არსენის ძე — კათედრის გამგე.
ასანიძე შოთა ნიკოლოზის ძე — დოცენტი.
იალამიდი გალინა ანესტის ასული — **დოცენტი.**
კობაიძე არჩილ ლევანის ძე — **პროორექტორი.**
ნამიჩეიშვილი ვერონტი ილარიონის ძე — დოცენტი.
პატარაია გრიგოლ ნიკოლოზის ძე — **უფროსი** მასწავლებელი.
ქავთარაძე პლატონ იასონის ძე — კათედრის გამგე.
ქანთარია ლეონა გიორგის ასული — უფროსი მასწავლებელი.
ქილიტაური თენგიზ ილიას ძე — დოცენტი.
ხადური ნატალია ევგენის ასული — უფროსი მასწავლებელი.
ხელაია ალექსანდრე სამსონის ძე — დოცენტი.
ხმიადაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე — პროორექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 23 იანვარი.
№ 580—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

24 ამხ. შ. ი. დავითაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. შოთა ივანეს ძე **დავითაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 23 იანვარი.
№ 578—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

25 ამხ. ზ. ა. გოგნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ზაურ არჩილის ძე **გოგნიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.

№ 603—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

26 ამხ. ო. ს. ეზიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათა ნაწილებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების კათედრის გამგე ამხ. ოთარ სიმონის ძე **ეზიკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.

№ 602—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

27 ამხ. მ. ა. გოკუჩავასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბიოქიმიის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მიხეილ ალექსის ძე **ბოკუჩავას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 იანვარი.
№ 558—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

28 ამხ. კ. მ. ჯემუხაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბიოქიმიის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოქიმიის მეცნიერებათა დოქტორს კონსტანტინე მელიტონის ძე **ჯემუხაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 იანვარი.
№ 557—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

29 ამხ. ს. ნ. ციკოლიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადებისათვის ამხ. სერაფიონ ნარიკის ძე **ციკოლიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 16 იანვარი.
№ 572—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

30 **გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“

არსენიძეს შოთა ტარასის ძეს — პროორექტორს.
ბეთლემიძეს ნათელა რაჟდენის ასულს — დოცენტს.
ბიგვავას გიორგი პავლეს ძეს — კათედრის გამგეს.
დარჯანიას ბორის ნესტორის ძეს — კათედრის გამგეს.
კანდელაკს რევაზ სევერიანის ძეს — რექტორს.
კაპანაძეს ანზორ ვლადიმერის ძეს — ფაკულტეტის დეკანს.
ოქროპირიძეს ნინო გიორგის ასულს — დოცენტს.
პავლიაშვილს ვიქტორ სიმონის ძეს — ფაკულტეტის დეკანს.

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“

ანიკაშვილს გიორგი ზაქარიას ძეს — მასწავლებელს.
ძიძიგურს გიორგი მელიტონის ძეს — უფროს მასწავლებელს.
ხაჩიძეს გიორგი ვასილის ძეს — კათედრის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ჩარაევს გიორგი გიორგის ძეს — კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 23 იანვარი.

№ 581—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

31 გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ინსტიტუტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“

კობერიძეს აფენდი სოგრატის ძეს — ბიბლიოთეკის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

კილაძეს ეთერ გიორგის ასულს — მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 23 იანვარი.
№ 582—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

32 ამხ. თ. ი. არუთინიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ყოფილ სოლისტს ამხ. თამარ ივანეს ასულ **არუთინიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.
№ 605—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

33 ამხ. ი. ე. მეტრეველისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი სასაზღვრო ოლქის ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტს ამხ. იური ევგენის ძე მეტრეველს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 30 იანვარი.
№ 604—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მელიორაციული მშენებლობის გეგმების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გარდაიქმნა მელიორაციული მშენებლობა.

ამასთან ერთად კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სამელიორაციო მშენებლობაში სახელმწიფო გეგმების შესრულების დონე სრულად არ შეესაბამება მელიორატორებისა და მიწათმოქმედთა წინაშე დასახულ გაზრდილ მოთხოვნებს.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი შეინიშნება „მთავარსაქწყალმშენის“ მუშაობაში, კერძოდ არ არის შესრულებული ძირითადი ფონდების და რიგ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმები; საექსპლუატაციოდ არ გადაცემულა სარწყავი სისტემა 1,8 ათას ჰექტარზე; არ ჩატარებულა საძოვრების გაწყლოვანების სისტემათა რეკონსტრუქცია 28,7 ათას ჰექტარზე; არ ამოქმედებულა 19,1 მლნ მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები.

არც თუ იშვიათად მიწათმოსარგებლეს საექსპლუატაციოდ გადასცემენ დიდი დეფექტებით მელიორირებულ მიწებს, რაც ართულებს მათს ექსპლუატაციას და ამცირებს ღონისძიებათა ეფექტიანობას.

მიუხედავად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებისა, „საქსახწყალპროექტმა“ ვერ უზრუნველყო დაპროექტების საქმის რადიკალური გაუმჯობესება. პროექტების ხარისხი, მათი მეცნიერული დონე რიგ შემთხვევებში კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებელია; ზოგჯერ პროექტებს საფუძვლად უდევს არასათანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღოდ შემოწმებული რეკომენდაციები. არ არის გათვალისწინებული სამელიორაციო ობიექტების უნიკალური ნიადაგურ-მელიორაციული პირობები, გასაშენებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგრობიოლოგიური თავისებურებანი, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხები; არ არის დამყარებული მკაცრი სახელმწიფო კონტროლი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისადმი.

ცალკეული სამელიორაციო ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს არსებული წესების უხეში დარღვევით, დაუმტკიცებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. არასაკმარისია საავტორო ზედამხედველობაც.

არადამაკმაყოფილებელია მელიორირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისა და სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის მდგომარეობა, სარწყავ და დაშრობილ მიწებზე დაბალია მიწათმოქმედების კულტურა. მიწებს მეურნეობებს გადასცემენ ერთბაშად, დიდი რაოდენობით, სათანადო ტექნიკითა და მუშახელით მათი წინასწარი უზრუნველყოფის გარეშე; შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ამ მიწებზე იშვიათად აღწევს პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

არასრულყოფილი ექსპლუატაციის შედეგად სამელიორაციო სისტემები ვადაზე ადრე გამოდიან მწყობრიდან და მოითხოვენ *რეკონსტრუქციას.*

წლების მანძილზე ვერ მოხერხდა კოლხეთის დაბლობის ნიადაგ-კლიმატური პირობების შესატყვისი მექანიზაციის საშუალებათა შექმნა. დაბალია დაშრობილ მიწებზე შრომის მექანიზაციის მაჩვენებელი.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ხელოვნური დაწვიმების კულტურა, დაწვიმების სისტემათა ექსპლუატაციის დონე. ამის შედეგად სარწყავი სისტემები ბევრგან უმოქმედოდაა ან რწყვა წარმოებს ოპტიმალური რეჟიმის დარღვევით და ა. შ.

აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმ გარემოებითაც, რომ არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა. არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისებისადმი კომპლექსური მიდგომის და ამ მიზნით ერთიანი მაკოორდინებელი ცენტრის შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სათანადო რჩევა მისცა საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობათა მთავარ სამმართველო „საქმთავარწყალმშენს“, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტს“.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ მეტი დახმარება გაუწიონ „მთავარსაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალმშენს“ მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფის საქმეში, ამასთან არ დაუშვან უხარისხოდ აშენებული ობიექტების მიღება.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომიის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი ლანჩხუთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისია აღნიშნავს, რომ მართალია ლანჩხუთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება გარკვეულ მუშაობას ეწევა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, მაგრამ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად რაიონის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ხარვეზები გააჩნიათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიამ რჩევა მისცა:

ლანჩხუთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას:

— განახორციელოს ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გააძლიეროს კავშირი რესპუბლიკის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის სამმართველოსთან; წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ფართოდ ჩააბას სპეციალისტები; პერიოდულად განიხილოს ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობა, დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი გამოვლენილი ხარვეზების სალიკვიდაციოდ; სისტემატურად იზრუნოს შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, საზოგადოებრივ მეურნეობათა ფონდშეიარაღებისა და ენერგოშეიარაღების გაზრდისათვის;

— მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სფეროში დასაქმებულ პირთა მატერიალური წახალისების ფონდების შექმნა-გამოყენებაში განუხრელად იხელმძღვანელოს არსებული დებულებებით და მათ შესაბამისად თითოეულ მეურნეობასა და ორგანიზაციაში შექმნას ცენტრალიზებული ფონდები სიახლეთა დანერგვისათვის პრემირების უზრუნველსაყოფად;

— მიიღოს ზომები ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში გამომგონებლობა-რაციონალიზაციის ბიუროების შექმნისათვის, ხელი შეუწყოს მათს მუშაობას, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვის გაზრდას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოაწესრიგოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საქმე, გაერთიანებაში მოაწყოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის კაბინეტი, ხოლო ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში — ოთახი; მოამარაგოს ისინი სათანადო ლიტერატურითა და თვალსაჩინო მასალებით, შექმნას პირობები სპეციალისტთა ნორმალური შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებსა და საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებს — განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასა და მასში შემავალ მეურნეობებსა და ორგანიზაციებში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისადმი. პერიოდულად შეისწავლონ, განიხილონ ეს საკითხები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის გეგმის უთუო შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის სამმართველოსა და სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალურ განყოფილებას — მეტი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ლანჩხუთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის განყოფილებას მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

• • •

აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიამ სხდომაზე განიხილა აგრეთვე საკითხი — მიწათსარგებლობის დაცვისათვის წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ორივე საკითხი შეტანილ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად; მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.